მიზანმიმართული აღქმა -

Purposeful perception - Целенаправленное восприятие

ადამიანის **აღქმისა** და **ყურადღების** ერთობლივი გამიზნული ქმედება – უკეთ (უფრო ზუსტად, უფრო საფუძვლიანად, უფრო დაწვრილებით, ანდა უფრო სიამოვნებით, **ესთეტიკურად**) აღქმის მიზნით; აგრეთვე, შესაძლოა, აზრობრივი ანდა **ესთეტიკური შეფასების** მიზნითაც. როგორც წესი, მოიცავს აღქმის არამარტო ერთჯერად პროცესს, არამედ აგრეთვე მრავალჯერადსაც, ანდა განზრახ გახანგრძლივებულსაც. უბრალო აღქმისგან განსხვავებით, **მა** **ქცევის ფორმაა**, რადგან აქვს საკუთარი **მოთხოვნილება**. ცხოველებთან მხოლოდ ჩანასახოვანი სახით გვხვდება, მაგ., როდესაც მაიმუნი, **კვლევით-შემეცნებითი განწყობით** საფუძველზე, ხანგრძლივად ათვალიერებს რკინის რთულ ხელსაწყოს, ბიოლოგიურად სრულიად ნეიტრალურს, თითებს ყოფს ნახვრეტებში და სხვა [სხვა მაგალითებისთვის იხ. **ინტერესი**]. **მა**-ს ხუთი სახეობა აქვს: ერთი – **დაკვირვება** – აზროვნებასთან ერთადაა და **სააზროვნო განწყობებით** წარიმართება; დანარჩენი ოთხი კი **გარე შეგრძნებათა მოდალობებს** შეესაბამება: **თვალიერება, მოსმენა, დაგემოვნება, ესთეტიკური შეხება.** ისინი სხვადასხვა მოდალობის **ესთეტიკური განწყობებით** წარიმართება.